



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 19

ბათუმი

11 მსიცი 2020 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ და „ტ“ ქვეპუნქტების, 146-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 149-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება, თანახმად N1 დანართისა.

2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურა, თანახმად N2 დანართისა.

3. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ, ღიად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

4. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და საჯაროდ გამოცხადება უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტმა.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ბრძანება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დავით გაბაიძე